პროექტი „ლიტერატურული კვირეული“

მარიამ ადეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმნეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა კახიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

ლიტერატურა ყოველთვის ეხმარებოდა საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას. წიგნის მიმართ ინტერესის შემცირება არის ჩვენი საუკუნის ერთერთი მთავარი პრობლემა. ტექნოლოლოგიების განვითარებამ შეამცირა საზოგადოებაში წიგნის კითხვის ინტერესი, რომლის პოპულარიზაცია შეუჩერებადი პროცესი უნდა იყოს, რათა მომავალ თაობაში დაინერგოს წიგნის და განათლების სიყვარული. ლიტერატურული ღონისძიებები სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ნაშრომში მიმოხილულია მსოფლიოსა და საქართველოს დამოკიდებულება ამ საკითხთან, განხილულია ყველაზე მაშტაბური ღონისძიებები ლიტერატურასთან დაკავშირებით. SWOT ანალიზზე დაყრდნობით განხილულია დღევანდელი ლიტერატურული ღონისძიებების მდგომარეობა საქართველოში.

ინტერესის საგანს წარმოადგენს კიდევ ერთი ლიტერატურული პროექტის შემატება საქართველოში, შესაბამისად, კვლევის მიზანია, გავცნობოდით თუ რამდენად მზადაა საზოგადოება მსგავსი ღონისძიებებისთვის და რამდენად გაამართლებს საქართველოში მსგავსი ტიპის კიდევ ერთი, თუმცა განსხვავებული, ღონისძიება.

ჩატარებული კვლევის შედეგად დავასკვენით, ლიტერატურული პროექტები საკმაოდ დიდი ინტერესით სარგებლობს და საზოგადოება მიესალმება იმ აზრს რომ მსგავსი პროექტების მრავალფეროვნება სასარგებლოა ქვეყნის და საზოგადოების განვითარებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კულტურის მენეჯმენტი, წიგნის ფესტივალი, წიგნი, ლიტერატურა